

შპს პიქსელ ინვესტ გრუპი
ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგება
2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებული
საანგარიშგებო წლისთვის

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება	4
სრული შემოსავლის ანგარიშგება	5
საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება.....	6

ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

1. ზოგადი ინფორმაცია	7
2. მომზადების საფუძვლები.....	7
3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა	8
4. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და გადაწყვეტილებები	11
5. საინვესტიციო ქონება	12
6. ძირითადი საშუალებები.....	13
7. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები.....	13
8. ფული და ფულის ეკვივალენტები.....	14
9. მიღებული სესხები.....	14
10. ხელფასები და თანამშრომელთა სხვა სარგებელი	15
11. ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯები	15
12. სხვა წმინდა არასაოპერაციო შემოსავალი/ (ხარჯი)	15
13. ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან	15

შპს პიქსელ ინვესტ გრუპი

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება


2018 წლის 31 დეკემბრისთვის

(ქართულ ლარში)

	შენიშვნა	31 დეკემბერი 2018	1 იანვარი 2018
აქტივები			
გრძელვადიანი აქტივები			
საინვესტიციო ქონება	5	25,254,221	27,249,303
ძირითადი საშუალებები	6	309,355	418,539
სულ გრძელვადიანი აქტივები		25,563,576	27,667,842
მიმდინარე აქტივები			
მარაგები		-	-
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	7	10,915,128	11,348,716
ფული და ფულის ექვივალენტები	8	9,729,390	752,915
სულ მიმდინარე აქტივები		20,644,518	12,101,631
სულ აქტივები		46,208,095	39,769,473
კაპიტალი და ვალდებულებები			
კაპიტალი			
საწესდებო კაპიტალი		200	200
გაუნაწილებელი მოგება		(31,152,397)	(28,896,037)
სულ კაპიტალი		(31,152,197)	(28,895,837)
გრძელვადიანი ვალდებულებები			
სასესხო ვალდებულებები	9	68,054,309	68,565,593
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები		68,054,309	68,565,593
მიმდინარე ვალდებულებები			
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები		4,987	5,187
საგადასახადო ვალდებულებები		90,696	94,530
მიმდინარე სასესხო ვალდებულებები	9	9,210,300	-
სულ მიმდინარე ვალდებულებები		9,305,983	99,717
სულ კაპიტალი და ვალდებულებები		46,208,095	39,769,473

ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგება 2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის, ხელმძღვანელობის მხრიდან დამტკიცებულია 2019 წლის 30 სექტემბერს შემდეგი პირების მიერ:

დირექტორი



იურის გორბოვსი

6-15 გვერდებზე არსებული შენიშვნები წარმოადგენს მოცემული ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

გვერდი 3-15

შპს პიქსელ ინვესტ გრუპი

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

2018 წლის 31 დეკემბრისთვის

(ქართულ ლარში)

	შენიშვნა	31 დეკემბერი 2018	1 იანვარი 2018
აქტივები			
გრძელვადიანი აქტივები			
საინვესტიციო ქონება	5	25,254,222	27,249,303
ძირითადი საშუალებები	6	309,355	418,539
სულ გრძელვადიანი აქტივები		25,563,576	27,667,842
მიმდინარე აქტივები			
მარაგები		-	-
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	7	10,915,128	11,348,716
ფული და ფულის ექვივალენტები	8	9,729,390	752,915
სულ მიმდინარე აქტივები		20,644,518	12,101,631
სულ აქტივები		46,208,095	39,769,473
კაპიტალი და ვალდებულებები			
კაპიტალი			
საწესდებო კაპიტალი		200	200
გაუნაწილებელი მოგება		(31,152,397)	(28,896,037)
სულ კაპიტალი		(31,152,197)	(28,895,837)
გრძელვადიანი ვალდებულებები			
სასესხო ვალდებულებები	9	68,054,309	68,565,593
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები		68,054,309	68,565,593
მიმდინარე ვალდებულებები			
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები		4,987	5,187
საგადასახადო ვალდებულებები		90,696	94,530
მიმდინარე სასესხო ვალდებულებები	9	9,210,300	-
სულ მიმდინარე ვალდებულებები		9,305,983	99,717
სულ კაპიტალი და ვალდებულებები		46,208,095	39,769,473

ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგება 2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის, ხელმძღვანელობის მხრიდან დამტკიცებულია 2019 წლის 30 სექტემბერს შემდეგი პირების მიერ:

დირექტორი

იურის გორბოვსი

6-15 გვერდებზე არსებული შენიშვნები წარმოადგენს მოცემული ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

შპს პიქსელ ინვესტ გრუპი

სრული შემოსავლის ანგარიშგება

2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

(ქართულ ლარში)

	შენიშვნა	2018
საიჯარო შემოსავალი		7,028,113
სულ საოპერაციო შემოსავალი		7,028,113
გადამუშავების დანახარჯები		-
ხელფასის ხარჯი და თანამშრომელთა სარგებელი	10	(7,500)
ცვეთა და ამორტიზაცია		(2,104,267)
ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯები	11	(359,279)
საოპერაციო მოგება		4,557,067
ფინანსური შემოსავალი/(ხარჯი), წმინდა	12	(4,720,430)
კურსთაშორის სხვაობით წარმოშობილი მოგება/(ზარალი), წმინდა		(2,092,998)
წმინდა მოგება		(2,256,361)
მოგების გადასახადის ხარჯი		-
მთლიანი სრული მოგება		(2,256,361)

6-15 გვერდებზე არსებული შენიშვნები წარმოადგენს მოცემული ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

შპს პიქსელ ინვესტ გრუპი

საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება

2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

(ქართულ ლარში)

	საწესდებო კაპიტალი	გაუნაწილებელი მოგება	სულ
ნაშთი 2018 წლის 1 იანვრისთვის	200	(28,896,037)	(28,895,837)
დივიდენდები	-	-	-
წლის მთლიანი სრული მოგება	-	(2,256,361)	(2,256,360)
ნაშთი 2018 წლის 31 დეკემბრისთვის	200	(31,152,398)	(31,152,197)

6-15 გვერდებზე არსებული შენიშვნები წარმოადგენს მოცემული ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

შპს პიქსელ ინვესტ გრუპი

ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

(ქართულ ლარში)

1. ზოგადი ინფორმაცია

წარმოდგენილი ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია შპს შპს პიქსელ ინვესტ გრუპი-სთვის (შემდგომში „კომპანია“) 2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისათვის.

კომპანია არის შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება, რომელიც დაარსდა 2007 წელს. ის რეგისტრირებულია თბილისის საგადასახადო ინსპექციის მიერ თბილისში, ვაკე-საბურთალოს რაიონში, ი.ჭავჭავაძის გამზ., №34, სართული 5. საიდენტიფიკაციო ნომრით: 204533282.

კომპანიის ძირითად საქმიანობას წარმოადგენს საოფისე ფართების გაქირავება.

2018 წლის 31 დეკემბრისა და 2018 წლის 1 იანვრის მდგომარეობით კომპანიის მფლობელები არიან:

მფლობელები	31 დეკემბერი 2018	1 იანვარი 2018
შპს ბი.ელ. ფროფერტი ეიჯენტს ლტდ, ლატვია, ,	5%	5%
იურის გორბოვსი, ლატვია	95%	95%

კომპანიის იურიდიული მისამართია საქართველო, თბილისი, ვაკე-საბურთალოს რაიონი, ი.ჭავჭავაძის გამზ., №34, სართული 5

2. მომზადების საფუძვლები

ანგარიშგების შესაბამისობა

წარმოდგენილი ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია “ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტები მცირე და საშუალო საწარმოებისთვის” (შემდგომში მსს ფასს) შესაბამისად.

ეს არის კომპანიის პირველი ფინანსური ანგარიშგება, რომელიც მომზადებულია მსს ფასს-ის და მსს ფასს 35-ე განყოფილების „მსს ფასს სტანდარტებზე გადასვლა“ შესაბამისად. კომპანიის მსს ფასზე გადასვლის თარიღია 2018 წლის 1 იანვარი.

კომპანია აღრიცხვას აწარმოებს საქართველოს კანონმდებლობის დაცვით და ფინანსურ ანგარიშგებებს ამზადებს ქართულ ლარში. ფინანსურ ანგარიშგებაში თანხები წარდგენილია დამრგვალების გარეშე, თუ სხვაგვარად არაა მითითებული. კომპანიის საანგარიშგებო პერიოდი მოიცავს კალენდარულ წელს 1 იანვრიდან 31 დეკემბრის ჩათვლით.

ფინანსური ანგარიშგების მსს ფასს-ის შესაბამისად მომზადება ითხოვს გარკვეული შეფასებებისა და გადაწყვეტილებების გაკეთებას. ის, ასევე, კომპანიის ხელმძღვანელობისგან მოითხოვს, რომ მსჯელობის საფუძველზე ჩამოაყალიბოს და მიიღოს ყველაზე გონივრული სააღრიცხვო შეფასებები. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და გადაწყვეტილებები მოცემულია ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების მე-4 შენიშვნაში.

ფუნქციონირებადი საწარმო

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპის დაშვებით - ანუ დაშვებით, რომ კომპანია განაგრძობს ფუნქციონირებას პროგნოზირებად მომავალში. კომპანიის მენეჯმენტსა და მფლობელებს სურვილი აქვთ, განავითარონ კომპანიის საქმიანობა საქართველოში. მენეჯმენტს სჯერა, რომ ფუნქციონირებადი საწარმოს დაშვება შესაბამისია კომპანიისათვის.

შეფასების საფუძველი

ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ისტორიული ღირებულების საფუძველზე.

კომპანია ზოგადად არ მოელის, რომ მსს ფასს სტანდარტების 35.11 პუნქტის ფარგლებში განსახორციელებელი რომელიმე შესწორება არაპრაქტიკული იქნება კომპანიისთვის.

შპს პიქსელ ინვესტ გრუპი

ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

(ქართულ ლარში)

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა

ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალების ერთეულის საწყისი აღიარება ხდება თვითღირებულებით. თვითღირებულების კომპონენტები მოიცავს უშუალოდ დაკავშირებულ ხარჯებს და მომავალი ვალდებულებების სავარაუდო დღევანდელ ღირებულებას, ასევე შეძენის მიმდინარე ფასს.

შემდგომი დანახარჯები ჩაირთვება აქტივის საბალანსო ღირებულებაში ან აღიარდება, როგორც დამოუკიდებელი აქტივი, მხოლოდ მაშინ, როდესაც შესაძლებელია აღნიშნული ტიპის დანახარჯისაგან მომავალი ეკონომიკური სარგებლის მიღება და შესაძლებელია მისი ღირებულების საიმედოდ განსაზღვრა. შეცვლილი კომპონენტის საბალანსო ღირებულება ჩამოიწერება. ყველა სახის სხვა დანახარჯი, რომელიც დაკავშირებულია მიმდინარე ტიპის რემონტებთან, აღიარდება როგორც ხარჯი მისი გაწვევის პერიოდში.

ძირითადი საშუალებები ბალანსში ასახულია ისტორიული ღირებულებით, რომელიც შემცირებულია დაგროვილი ცვეთისა და გაუფასურების ზარალით, ასეთის არსებობის შემთხვევაში. ძირითად საშუალებებზე ცვეთის დარიცხვა ხდება მათი სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში და ექვემდებარება სასარგებლო მომსახურების ვადის ბოლოს აქტივის ჩამოწერას.

ცვეთა ძირითადი საშუალებების ყველა ჯგუფს ერიცხება წრფივად. სასარგებლო მომსახურების პერიოდი და ცვეთის მეთოდი მიმოხილება ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს, ღირებულების ცვლილების ეფექტის გათვალისწინებით, პერსპექტიულ საფუძველზე.

ძირითად საშუალებებზე ცვეთის დასარიცხად გამოიყენება შემდეგი წლიური განაკვეთები:

შენობა-ნაგებობები	5%
ოფისის აღჭურვილობა და ინვენტარი	20%
სხვა - კონდიციონერების სისტემები	20%

ძირითადი საშუალებების გასვლის შედეგად წარმოშობილი მოგება ან ზარალი განისაზღვრება საბალანსო ღირებულებისა და მიღებული თანხის შედარებით და ჩაირთვება სხვა შემოსავლების/ხარჯების კატეგორიაში, სრული შემოსავლის ანგარიშგებაში.

მარაგები

მარაგების საწყისი აღიარება ხდება თვითღირებულებით და შემდგომ თვითღირებულებასა და შეფასებით გასაყიდ ფასს შორის უმცირესი თანხით, რომელსაც გამოკლებულია აქვს პროდუქციის დასრულებისა და გაყიდვისთვის საჭირო დანახარჯები. თვითღირებულება შედგება მარაგების შესყიდვისა და მათ საჭირო მდებარეობამდე და მდგომარეობამდე მიყვანის ყველანაირი დანახარჯისგან (მაგალითად: ტრანსპორტირების ხარჯი, საბაჟო მოსაკრებელი და სხვა პირდაპირ მიკუთვნებადი ხარჯები). რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულების განსაზღვრისთვის გამოიყენება საშუალო შეწონილი ღირებულების მეთოდი.

ფული და ფულის ეკვივალენტები

ფული და ფულის ეკვივალენტები არის აქტივები, რომლებიც იოლად კონვერტირებადია ფულად სახსრებში და ექვემდებარება ღირებულების ცვლილების უმნიშვნელო რისკს. ფული და ფულის ეკვივალენტები მოიცავს ფულს საღაროში და ფულად სახსრებს საბანკო ანგარიშებზე სამ თვემდე ვადით. სამ თვეზე მეტი ვადიანობით შეზღუდული სახსრები არ შედის ფულისა და ფულის ეკვივალენტებში.

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები არის საოპერაციო საქმიანობის ფარგლებში გაწეული სერვისის ან მიწოდებული საქონლის სანაცვლოდ მომხმარებლებისგან მისაღები თანხები. სავაჭრო და სხვა მოთხოვნების აღიარება თავდაპირველად ხდება რეალური ღირებულებით, ხოლო შემდგომ ამორტიზებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით,

შპს პიქსელ ინვესტ გრუპი

ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

(ქართულ ლარში)

გაუფასურების ანარიცხის გამოკლებით.

ფინანსური აქტივები გაუფასურებულად ითვლება მაშინ, როდესაც არსებობს ობიექტური მტკიცებულება იმისა, რომ ფინანსური აქტივის პირველადი აღიარების შემდეგ დამდგარმა ერთმა ან

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

ერთზე მეტმა მოვლენამ გავლენა მოახდინა მოთხოვნიდან მოსალოდნელ სამომავლო ფულად ნაკადებზე. გაუფასურების ზარალის ოდენობა განისაზღვრება, როგორც სხვაობა აქტივის საბალანსო ღირებულებასა და სამომავლო ფულადი ნაკადების დღევანდელ ღირებულებას შორის, რომელიც მიიღება ფინანსური აქტივის თავდაპირველი ეფექტური საპროცენტო განაკვეთით დისკონტირების მეშვეობით.

კომპანია გაუფასურებულად მიიჩნევს სავაჭრო მოთხოვნების იმ ნაწილს, რომლის ვადაგადაცილება 720 დღეზე მეტია.

სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

სავაჭრო და სხვა ვალდებულებები არის საოპერაციო საქმიანობის ფარგლებში მიღებული სერვისის ან შეძენილი საქონლის სანაცვლოდ მომწოდებლისთვის გადასახდელი თანხები. სავაჭრო და სხვა

ვალდებულებების აღიარება თავდაპირველად ხდება რეალური ღირებულებით, ხოლო შემდგომ

ამორტიზებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით.

კაპიტალი და დივიდენდები

კაპიტალი შედგება საწესდებო კაპიტალისა და გაუნაწილებელი მოგებისგან. დივიდენდები აღირიცხება კაპიტალში იმ პერიოდში, როდესაც გამოცხადდება. ნებისმიერი დივიდენდი, რომელიც ცხადდება საანგარიშგებო პერიოდის შემდგომ და ფინანსური ანგარიშგების გამოსაქვეყნებლად ნების დართვის თარიღამდე, იშიფრება საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენების შენიშვნაში.

დაბეგვრა

2017 წლის 1 იანვრიდან მოგების გადასახადის ახალი მოდელი შევიდა ძალაში. აღნიშნული ცვლილების მიზანი მოგების გადასახადის ადმინისტრირების გამარტივება და ბიზნესის ზრდის ხელშეწყობაა. ახალ მოდელში მთავარ ცვლილებას ერთობლივი შემოსავლის დაბეგვრის გადავადებაა, გაუნაწილებელი მოგების დივიდენდის სახით გაცემამდე. აღნიშნული ცვლილება გაზრდის მოგების რეინვესტირების მოცულობას. მოგების გადასახადის განაკვეთი არ იცვლება და ძველი მოდელის მსგავსად 15% რჩება. დამატებით წლიურად დაბეგვრის ნაცვლად, გადასახადის დარიცხვა ყოველთვიურად მოხდება. მოგების გადასახადის ახალი მოდელის მიხედვით დაბეგვრის ობიექტს წარმოადგენს შემდეგი ტრანზაქციები/გადახდები: დივიდენდის გაცემა; სხვაობა კონტრაქტის ღირებულებასა და საბაზრო ფასს შორის; ხარჯები, რომლებიც დაკავშირებული არ არის ეკონომიკურ საქმიანობასთან; საჩუქრები; წარმომადგენლობითი ხარჯები ლიმიტს ზემოთ. მოგების გადასახადის ახალი მოდელის სპეციფიკიდან გამომდინარე საგადასახადო და ფინანსურ ბაზებს შორის სხვაობა არ გვაქვს. შესაბამისად, არ წარმოიქმნება გადავადებული გადასახადი.

გადასახადები გარდა მოგების გადასახადისა აღიარდება იმ საანგარიშგებო პერიოდში რა პერიოდშიც წარმოიქმნება მავალდებულებელი მოვლენა. მავალდებულებელ მოვლენას წარმოადგენს ქმედება ან ფაქტი, რომელიც საქართველოს საგადასახადო კოდექსით განაპირობებს გადასახადის გადახდას. წინასწარ გადახდილი გადასახადები, რომლიდანაც მოსალოდნელია მომავალში ეკონომიკური სარგებლის მიღება აღიარდება აქტივად.

შემოსავალი

კომპანიის საოპერაციო შემოსავლები არის შემოსავალი საქონლის მიწოდებით და/ან მომსახურების მიწოდებით, საიდანაც გამოიქვეთება სავაჭრო ფასდაკლება და სხვა ფასდაკლება, აგრეთვე

შპს პიქსელ ინვესტ გრუპი

ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

(ქართულ ლარში)

დამატებული ღირებულების გადასახადი და სხვა გადასახადები, რომლებიც პირდაპირ კავშირშია ბრუნვასთან. შემოსავლის აღრიცხვა ხდება მაშინ, როდესაც ეკონომიკური სარგებლის მიღების ალბათობა მაღალია და შესაძლებელია მისი საიმედოდ შეფასება. შემოსავლების შეფასება ხდება სამართლიანი ღირებულების ოდენობით.

მომსახურების გაწევიდან მიღებული შემოსავლები, განურჩევლად გადახდის თარიღისა და ინვოისის თარიღისა, მიიღება მხედველობაში, როდესაც აკმაყოფილებს შემოსავლის აღიარების შესაბამის პირობებს:

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

- იჯარით გაცემასთან დაკავშირებით - შემოსავალი აღიარდება იმ თარიღიდან, როდესაც მომსახურება გაწეულია, ანუ იჯარით გაცემული შენობა გადაეცა მოიჯარეს მიღება - ჩაბარების საფუძველზე.

საიჯარო ქირა შემოსავლად აღიარდება ყოველთვიურად წრფივად, მომსახურების თანაბარზომიერად გაწევის პირობებში.

საქონლის გაყიდვის შედეგად მიღებული შემოსავლების აღრიცხვა ხდება მაშინ, როდესაც კომპანია მომხმარებელს გადასცემს მფლობელობასთან და მართვასთან დაკავშირებულ მნიშვნელოვან რისკებს და სარგებელს.

სხვა შემოსავალში მითითებულია შემოსავლები (მაგალითად, შემოსავალი უცხოური ვალუტის კურსის ცვალებადობისგან), რომლებიც არ არის მითითებულია საოპერაციო შემოსავლებში ან შემოსავლის სხვა შესაბამის მუხლებში და რომელიც წარმოიშვა ეკონომიკური საქმიანობის შედეგად.

ხარჯების აღიარება

ხარჯების აღიარება ხდება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში, თუ წარმოიშობა მომავალი ეკონომიკური სარგებლის შემცირება, რაც დაკავშირებულია აქტივის შემცირებასა ან ვალდებულების ზრდასთან, რომელიც შეიძლება საიმედოდ განისაზღვროს.

ხარჯების ოდენობა აღიარდება დარიცხვის პრინციპის საფუძველზე, კერძოდ, ხარჯები აღიარდება იმ საანგარიშო პერიოდში, როდესაც ისინი წარმოიშვა და არა ფულადი სახსრების გადახდის საფუძველზე. საანგარიშო წელთან დაკავშირებული ხარჯები აღინიშნება, მიუხედავად გადახდის ან ინვოისის მიღების თარიღისა.

დარიცხვის საფუძველზე, ხარჯები შესაბამისობაშია შემოსავალთან შესაბამის საანგარიშო პერიოდებში.

ხარჯების აღიარების პოლიტიკა:

- მიღებული მომსახურებისთვის - მომწოდებლისგან მიღებული ინვოისი, დასტური, რომ მომსახურება გაწეულია.
- შესრულებული სამუშაოსთვის - შემსრულებლისგან მიღებული ინვოისი, შემსრულებლისა და მიმღების მიერ ხელმოწერილი აქტი გაწეული სამუშაოების შესახებ.
- შეძენილი სასაქონლო-მატერიალური ფასეულობებისათვის - პირველადი დოკუმენტაციის საფუძველზე (ინვოისები, ჩეკები).

სხვა არასაოპერაციო ხარჯებში აღიარებულია ნებისმიერი ხარჯი, რომელიც გაწეულია კომპანიის მიერ შემოსავლის მისაღებად.

კომპანია უზრუნველყოფს ხარჯების აღრიცხვას შესაბამისი მუხლების მიხედვით.

ხარჯები გაწევისთანავე აღიარდება მოგებისა და ზარალის ანგარიშგებაში, თუ ხარჯებისგან ეკონომიკური სარგებლის მოტანა მომავალში აღარაა მოსალოდნელი ან თუ მომავალი ეკონომიკური სარგებელი აღარ აკმაყოფილებს ბალანსში აქტივად აღიარების კრიტერიუმებს.

ხელფასები და თანამშრომელთა სხვა სარგებელი

ხელფასები, ბონუსები და არაფულადი შეღავათები აღიარდება იმ წელს, როდესაც თანამშრომელმა გასწია შესაბამისი მომსახურება.

შპს პიქსელ ინვესტ გრუპი

ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

2018 წლის 31 დეკემბრის დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

(ქართულ ლარში)

საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები

საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები და ასევე მოვლენები ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების ავტორიზაციის თარიღამდე, რომელიც გვაწვდის დამატებით ინფორმაციას კომპანიის ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების შესახებ, შეტანილია ფინანსურ ანგარიშგებაში. ბალანსის შემდგომი არსებითი მოვლენები, რომლებიც არ ახდენენ გავლენას ჯგუფის ფინანსური ანგარიშგების მდგომარეობაზე ბალანსის შედგენის დღისათვის, ასევე წარმოდგენილია ფინანსური ანგარიშგების შენიშვნებში.

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

ოპერაციები უცხოურ ვალუტაში

უცხოურ ვალუტაში ასახული აქტივები და ვალდებულებები გადაიანგარიშება საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი ვალუტის გაცვლის ოფიციალური კურსის შესაბამისად, წლის ბოლოსათვის. კონვერტაციის დროს წარმოშობილი კურსთაშორის სხვაობები აისახება მოგებისა და ზარალის ანგარიშებზე. წლის ბოლოს კონვერტაცია არ ეხება არაფულად აქტივებს. არაფულადი აქტივები, რომლებიც შეფასებულია უცხოური ვალუტით პირვანდელი ღირებულების მეთოდით გადაიანგარიშება ოპერაციის შესრულების თარიღისათვის არსებული სავალუტო კურსით.

ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი უცხოურ ვალუტაში არსებული ნაშთების კონვერტაციისთვის გამოყენებული გაცვლითი კურსი იყო შემდეგი:

	აშშ დოლარი	ევრო
კურსი 2018 წლის 31 დეკემბრისთვის	2.6766	3.0701
კურსი 2018 წლის 1 იანვრისათვის	2.5922	3.1044

4. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და გადაწყვეტილებები

კომპანია ახდენს გარკვეული სააღრიცხვო შეფასებებისა და დაშვებების შემუშავებას მომავალ პერიოდებთან დაკავშირებით. მსგავსი შეფასებები და დაშვებები მუდმივად მუშავდება ისტორიულ გამოცდილებასა და სხვა ფაქტორებზე დაყრდნობით, მათ შორის, ისეთი მომავალი მოვლენების გათვალისწინებით, რომელიც მოსალოდნელია გონივრულ ფარგლებში. მომავალში მიღებული ფაქტობრივი შედეგი შესაძლოა განსხვავდებოდეს აღნიშნული შეფასებებისა და დაშვებებისგან. ქვემოთ მოყვანილია ის შეფასებები და დაშვებები, რომლებიც მომდევნო ფინანსურ წელში აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებებში არსებითი ცვლილებების რისკის მატარებელია.

ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადები

აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადის განსაზღვრისას, ხელმძღვანელობა განიხილავს მოსალოდნელ გამოყენებას, სავარაუდო ტექნიკურ მოძველებას, ფიზიკურ ცვეთას და გარემოს, რომელშიც ხდება აქტივის გამოყენება. ჩამოთვლილი პირობებისა თუ შეფასებების სისტემის ნებისმიერმა ცვლილებამ შეიძლება გამოიწვიოს მომავალი ცვეთის განაკვეთის კორექტირება. დამატებითი ინფორმაცია ძირითადი საშუალებების წმინდა საბალანსო ღირებულების შესახებ მოცემულია მე-5 განმარტებით შენიშვნაში.

ფინანსური აქტივების გაუფასურება

ანგარიშგების ყოველი პერიოდის ბოლოს ფინანსური აქტივები ფასდება შესაძლო გაუფასურების ნიშნების აღმოსაჩენად. ფინანსური აქტივები გაუფასურებულად ითვლება მაშინ, როდესაც არსებობს ობიექტური მტკიცებულება იმისა, რომ ფინანსური აქტივის პირველადი აღიარების შემდეგ დამდგარმა ერთმა ან ერთზე მეტმა მოვლენამ გავლენა მოახდინა ფინანსური აქტივიდან მოსალოდნელ სამომავლო

შპს პიქსელ ინვესტ გრუპი

ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

(ქართულ ლარში)

ფულად ნაკადებზე. კომპანია აფასებს ფინანსური აქტივების გაუფასურებას წარსული გამოცდილების საფუძველზე. მომავალ პერიოდთან დაკავშირებული განუსაზღვრელობებიდან გამომდინარე ფაქტიური შედეგი შესაძლებელია მნიშვნელოვნად განსხვავდებოდეს იმ შედეგისგან, რაც აღრიცხულია ინდივიდუალურ ფინანსურ ანგარიშგებაში.

5. საინვესტიციო ქონება

საინვესტიციო ქონება წარმოდგენილია ი. ჭავჭავაძის გამზ. #34-ში მდებარე საოფისე შენობის ფართით და მასზე მიმაგრებული მიწის ნაკვეთით, რომლებიც კომპანიამ შეიძინა 2009 წელს 8 დეკემბერს. კომპანიამ განახორციელა შენობის რემონტი და მოახდინა მთლიანი კუთვნილი ფართის იჯარით გადაცემა.

საინვესტიციო ქონების ღირებულების შესაფასებლად კომპანია იყენებს თვითღირებულების მოდელს, რადგან კომპანია თვლის, რომ მას არ შეუძლია მისი შეფასება მიზანშეუწონელი დანახარჯების, ან ძალისხმევის გარეშე, კომპანია თვლის, რომ რეალური ღირებულებისთვის გაწეული დანახარჯები სარგებელს აღემატება.

2018 წლის 31 დეკემბრისთვის და 1-ლი იანვრისთვის საინვესტიციო ქონება წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	მიწის ნაკვეთები	შენობები	სულ
ნაშთი 01.01.2018	3,051,977	39,901,648	42,953,626
შემოსვლა		-	-
გასვლა		-	-
ნაშთი 31.12.2018	3,051,977	39,901,648	42,953,626
დაგროვილი ცვეთა			
დაგროვილი ცვეთა 01.01.2018		(15,704,318)	(15,704,318)
ცვეთა წლის განმავლობაში		(1,995,082)	(1,995,082)
გასული ძირითადი საშუალებების ცვეთა		-	-
დაგროვილი ცვეთა 31.12.2018	-	(17,699,401)	(17,699,401)
ნეტო საბალანსო ღირებულება			
ნეტო საბალანსო ღირებულება 01.01.2018	3,051,977	24,197,330	27,249,307
ნეტო საბალანსო ღირებულება 31.12.2018	3,051,977	22,202,247	25,254,225

შპს პიქსელ ინვესტ გრუპი

ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

(ქართულ ლარში)

6. ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებები 2018 წლის 31 დეკემბრისთვის და 1-ლი იანვრისთვის შეიძლება წარმოდგენილი იყოს შემდეგნაირად:

	ავეჯი ოფისისათვის	სხვა	სულ
ნაშთი 01.01.2018	3,335	536,700	540,036
შემოსვლა	-	-	-
გასვლა	-	-	-
ნაშთი 31.12.2018	3,335	536,700	540,036
დაგროვილი ცვეთა			
დაგროვილი ცვეთა 01.01.2018	(3,335)	(118,161)	(121,497)
ცვეთა წლის განმავლობაში	-	(109,184)	(109,184)
გასული ძირითადი საშუალებების ცვეთა	-	-	-
დაგროვილი ცვეთა 31.12.2018	(3,335)	(227,345)	(230,681)
ნეტო საბალანსო ღირებულება			
ნეტო საბალანსო ღირებულება 01.01.2018	-	418,539	418,539
ნეტო საბალანსო ღირებულება 31.12.2018	-	309,355	309,355

7. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები 2018 წლის 31 დეკემბრისთვის და 1-ლი იანვრისთვის შეიძლება წარმოდგენილი იყოს შემდეგნაირად

	31 დეკემბერი 2018	1-ლი იანვარი 2018
ფინანსური მოთხოვნები:		
სავაჭრო მოთხოვნები	10,972,030	11,298,857
საექვო მოთხოვნების გაუფასურება	(57,110)	-
სულ სავაჭრო მოთხოვნები	10,914,920	11,298,857
არაფინანსური მოთხოვნები		
გადახდილი ავანსები	208	49,858
ჯამი	10,915,128	11,348,716

შპს პიქსელ ინვესტ გრუპი

ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

(ქართულ ლარში)

სავაჭრო მოთხოვნების ვადაგადაცილება წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	31 დეკემბერი 2018	1 იანვარი 2018
ვადაგადაცილებული:		
1-დან 30 დღემდე	729,963	742,218
31-დან 60 დღემდე	742,491	712,713
61-დან 90 დღემდე	713,777	676,002
91-დან 120 დღემდე	2,041,325	1,973,198
180-დან 365 დღემდე დღეზე მეტი ვადაგადაცილება	4,065,618	4,147,365
365-720 დღემდე	2,621,747	2,990,252
720 დღეზე მეტი ვადაგადაცილება	-	57,110
სულ	10,914,920	11,298,857

8. ფული და ფულის ეკვივალენტები

ფული და ფულის ეკვივალენტები 2018 წლის 31 დეკემბრისთვის და 1-ლი იანვრისთვის შეიძლება წარმოდგენილი იყოს შემდეგნაირად:

	31 დეკემბერი 2018	1-ლი იანვარი 2018
ფული ბანკში მიმდინარე ანგარიშებზე, ლარში	518,244	551
ფული ბანკში მიმდინარე ანგარიშებზე, უცხოურ ვალუტაში	846	752,364
სადეპოზიტო სერთიფიკატი	9,210,300	-
	9,729,390	752,915

9. მიღებული სესხები

მიღებული სესხები 2018 წლის 31 დეკემბრისთვის და 1-ლი იანვრისთვის შეიძლება წარმოდგენილი იყოს შემდეგნაირად:

	31 დეკემბერი 2018	1-ლი იანვარი 2018
გრძელვადიანი ნაწილი	68,054,309	68,565,593
მოკლევადიანი ნაწილი	9,210,300	-
	-	-
სულ	77,264,609	68,565,593

კომპანიას აღებული აქვს გრძელვადიანი სესხი, ნომინირებული აშშ დოლარში, 7% -იანი წლიური სარგებლის განაკვეთით, დაფარვის ვადები განსაზღვრულია 2021 წლის 1 იანვრამდე.

მენეჯმენტს სჯერა, რომ გამსესხებელი არ მოითხოვს სესხის დაუყოვნებლივ დაბრუნებას.

2018 წელს სესხზე დაერიცხა აშშ დოლარის საპროცენტო ხარჯი პერიოდის შესაბამისად.

შპს პიქსელ ინვესტ გრუპი

ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

(ქართულ ლარში)

ფინანსური ვალდებულების რეკონსილაცია წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	31 დეკემბერი 2018
ნაშთი 1 იანვრისთვის	(68,565,593)
ფულადი მუხლები	
სესხის მიღება	-
ძირის გადახდა	-
პროცენტის გადახდა	7,308,461
არაფულადი მუხლები	
საპროცენტო ხარჯი, წარდგენილი მოგება ან ზარალში	(4,736,759)
გადაფასება	(2,060,419)
ნაშთი 31 დეკემბრისთვის	-
სულ	(68,054,309)

10. ხელფასები და თანამშრომელთა სხვა სარგებელი

ხელფასები და თანამშრომელთა სარგებელი 2018 წლის 31 დეკემბრისთვის დასრულებული წლისთვის შეიძლება წარმოდგენილი იყოს შემდეგნაირად:

	2018
ხელფასები	7,500
სულ ხელფასები და თანამშრომელთა სხვა სარგებელი	7,500

11. ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯები

ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯები შეიძლება წარმოდგენილი იყოს შემდეგნაირად:

	2018
საექვო მოთხოვნების გაუფასურება	57,110
გადახდილი ავანსების გაუფასურება	49,650
სხვა საგადასახდო ხარჯი	236,741
სხვა საერთო ხარჯები	15,778
	359,279

12. სხვა წმინდა არასაოპერაციო შემოსავალი/ (ხარჯი)

სხვა წმინდა არასაოპერაციო შემოსავალი/ (ხარჯი) წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	2018
საპროცენტო ხარჯი	4,736,759
სადეპოზიტო შემოსავალი	(16,329)
სულ სხვა წმინდა არასაოპერაციო შემოსავალი/ (ხარჯი)	4,720,430

13. ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან

33-ე განყოფილების მიხედვით კომპანია დაკავშირებულ მხარეებთან განიხილავს:

პირი ან მისი ახლო ნათესავი მიიჩნევა ანგარიშვალდებული საწარმოსთვის დაკავშირებულ მხარედ, თუ ეს პირი:

შპს პიქსელ ინვესტ გრუპი

ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

(ქართულ ლარში)

(i) არის ანგარიშვალდებული საწარმოს, ან მისი მშობელი საწარმოს უმაღლესი რანგის ხელმძღვანელობის წევრი;

(ii) აკონტროლებს ან ერთობლივად აკონტროლებს ანგარიშვალდებულ საწარმოს; ან

(iii) მას აქვს მნიშვნელოვანი გავლენა ანგარიშვალდებულ საწარმოზე; ან

(ბ) საწარმო მიიჩნევა ანგარიშვალდებული საწარმოსთვის დაკავშირებულად მხარედ, თუ შემდეგი პირობებიდან რომელიმე არსებობს:

(i) ეს საწარმო და ანგარიშვალდებული საწარმო არიან ერთი და იმავე ჯგუფის წევრები (რაც იმას ნიშნავს, რომ მშობელი საწარმო, შვილობილი საწარმო და იმავე მშობელი საწარმოს სხვა შვილობილი საწარმოები ერთმანეთთან არიან დაკავშირებული);

(ii) ერთი საწარმო არის მეორის მეკავშირე საწარმო ან ერთობლივი საქმიანობა (ან იმ ჯგუფის რომელიმე წევრის მეკავშირე საწარმო ან ერთობლივი საქმიანობა, რომლის წევრიც არის მეორე საწარმო);

(iii) ორივე საწარმო წარმოადგენს ერთი და იმავე მესამე საწარმოს ერთობლივ საქმიანობას;

(iv) ერთი საწარმო არის რომელიმე მესამე საწარმოს ერთობლივი საქმიანობა, ხოლო მეორე საწარმო არის იმავე მესამე საწარმოსთვის მეკავშირე საწარმო;

(v) ეს საწარმო არის ანგარიშვალდებული საწარმოს, ან ანგარიშვალდებულ საწარმოსთან დაკავშირებული რომელიმე საწარმოს დაქირავებულ პირთა შრომითი საქმიანობის შემდგომი გასამრჯელოების პროგრამის განმახორციელებელი. თუ ანგარიშვალდებული საწარმო თვითონ არის ასეთი პროგრამის განმახორციელებელი, სპონსორი დამქირავებლებიც ანგარიშვალდებული საწარმოსთვის დაკავშირებულ მხარედ მიიჩნევა;

(vi) ამ საწარმოს აკონტროლებს, ან ერთობლივად აკონტროლებს (ა) ქვეპუნქტში მითითებული რომელიმე პირი;

(vii) ეს საწარმო, ან იმავე ჯგუფში შემავალი სხვა საწარმო, რომლის ნაწილიც ის არის, ანგარიშვალდებული საწარმოსთვის, ან ანგარიშვალდებული საწარმოს მშობელი საწარმოსთვის ასრულებს მმართველობითი ხასიათის მომსახურებას;

(viii) (ა) (ii) პუნქტში მითითებულ რომელიმე პირს აქვს მნიშვნელოვანი გავლენა ამ საწარმოზე, ან ეს პირი არის ზემოაღნიშნული საწარმოს (ან მისი მშობელი საწარმოს) უმაღლესი რანგის ხელმძღვანელობის წევრი.

როდესაც ხდება დაკავშირებულ მხარესთან ურთიერთობის ანალიზი, გაითვალისწინება არა მხოლოდ ურთიერთობის იურიდიული ფორმა, არამედ მისი არსი.

	31 დეკემბერი 2018	1-ლი იანვარი 2018
დამფუძნებლის სესხი	9,210,300	-